


სახალხო ფურცელი

სურათიანი ჟამთიკა

გაერთიან. № 437

ღამასტავის № 78

შაბათი, 21 ნოემბერი 1915 წ.



საოჯახო ბრძოლა: გერმანელების სანგრებს ქვეშ ფრანგებს სანაღ-
მე გვირაბი გაუყვანიათ. მიწის ქვეშ მენაღმე ნაღმს ასაფეთქებ-
ლად ამზადებს.

შ ე მ რ ღ ბ რ მ ა ს

წასვლა იანი, მოსვლა გვიანი,
კრულვით გისტუმრებთ თვალ-ცრემლიანი;
თუ კიდევ ჩვენსკენ ფეხი იბრუნო,
შარა გზა დაგხედეს წინ ეკლიანი.

დეე თვით დედამ იმ შვილებისთვის
ძუძუთა ლოცვაც კი დაიშუროს,
ვინც შენისთანა მომცდარ წელიწადს
სისხლით და ოფლით ზედ დაეწუროს.

მე გულ მოკლეულია დიდი, პატარა,
ზმუის პირუტყვი, კენესის მეტყველი,
აბა დახედე ერთი რასა ჰგავს
ეს ამოდენა გაშლილი ველი?

ჩვენს ბედობაზე აღარა სჩანს რა
არც მოსაწევი, არც მოწეული,
ტყეში მარტოკა ბინდი და ლუის,
როგორც მარჯანი და ბროწეული.

როგორ დააძღობს ამითი შვილებს
მარჯვენა მშობლის ისეც სნეული;
შიმშილის დედის დამზადებელი,
ამიერიდან იყავ წყეული...

წასვლა იანი, მოსვლა გვიანი,
წყევით გისტუმრებთ თვალ-ცრემლიანი;
თუ კიდევ ჩვენსკენ ფეხი იბრუნო,
შარა გზა დაგხედეს წინ ეკლიანი.

შიო მღვიმელი.

დასავლეთის სახარეზი



თაბიურის გორაკი: თავგანწირული ხელჩართული ბრძოლა გერმანელებისა და ფრანგებისა



სულის უმეხუთავი გაუვალი საშიში ალარ არის!..

გრემნელნი

ზღაპარი შ. პერროსი.

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქვრივი დედაკაცი. მას ორი ქალი ჰყავდა. უფროსი პარ-წავარდნილი დედა იყო სახითაც, ხასიათითაც. ორივე ისეთი უხვი, უხასიათო, გორბოი იყო, რომ მათ ვერაფერს ეთვისებოდა. უმცროსი კი ზედ გამოჭრილი მამა იყო ზრდილობით თუ სათნოებით ამასთან ისეთი ლამაზი, რომ მისი ცალი მეორე არ მოიპოვებოდა. მთელს დუნიაზე, მაგრამ რადგანაც თვითელის თვისებაა უყვარდეს თავის მზგავსი, დედაც გაგოყებული იყო უფროსი ქალის სიყვარულით. უმცროსი კი თვალის დასანახად ეჯავრებოდა. სამხარეულოში აქმევდა პურს და თავ-აულებლივ ამუშავებდა.

სხვათა შორის საწყალი დღეში ორჯელ უნდა წასულიყო მთელს სამ ვერს ნახევარ მანძილზე და დიდი კოკით წყალი ეზიდნა.

ერთხელ, წყაროსთან რომ იყო, მივიდა მასთან ერთი ლატაკი დედაბერი და წყალი სთხოვა.

— ინებე, შენი ჭირიმი, ინებე, — უთხრა ტურფა ასულმა. მაშინვე მოავლო კოკას, შუა წყაროში ამოავსო და მიართვა; თან კოკა ხელში ეჭირა, რომ დედაბერს წყალი რიგიანად დაეღია.

— ისეთი მშვენიერი ხარ, სათნო და თავაზიანი, — უთხრა მოხუცმა, როცა წყალი მოსვა, რომ არ შემოძლიან არ დაგაჯილდოვო (ის გრძნეული დედაკაცი იყო, რომელსაც ლატაკი დედაბერის სახე მიეღო, რომ გამოეცადა — რამდენად თავაზიანი იყო ახალგაზრდა ქალია). ისეთი ძალით გაჯილდოვებ, რომ რამდენს სიტყვასაც წარმოსთქვამ, იმდენი ხან ყვავილა გადმოგივარდება პირიდან, ხან ძვირფასი თვალი.

შინ რომ დაბრუნდა, ქალს დედამ ქვა და გუნდა მიყარა — რად დაიგვიანე ასეო.

— მაპატიე, დედილო, მაპატიე, რომ ასე დავიგვიანე. — დაუწყაო მუდარა ქალმა. ეს რომა სთქვა, პირიდან ორი ვარდი გადმოვარდა, ორი მარგალიტის და ორი ალმაზის დიდი მარცვალი.

— რას ვხედავ, გენაცვალეთ, რასა ვხედავ ამას, შეჰკვილა დედამ განცვიფრებული, — პირიდან ალმაზები და მარგალიტები სცივდა, რას ნიშნავს ეგ, გენაცვალე, ჩემო გოგონა? (პირველად ეხლა დაუძახა მას — ჩემო გოგონაო).

საწყალმა გულ-ახდით უამბო ყველაფერი, რაც წყაროზე შეემთხვა და თან პირიდან უამრავი მარგალიტები სცივოდა. — არა, უეჭველად იქ ჩემი ქალი უნდა გავგზავნო, სთქვა დედამ და უფროს ქალს მიუბრუნდა, — ფანშონ, უყურე, გენაცვალე, რა სცივდა პირიდან შენს დას, როცა ლაპარაკობს! შენც ხომ გაგეხარდებოდა, რომ ის შეგძლებოდა. ამისათვის საჭიროა მხოლოდ წახვიდე წყაროზე და როცა ერთი საწყალა დედაბერი გთხოვს წყალს, სიყვარულით მიაწოდო წყალი და დააღვიწიო.

— ახ, რა კარგი იყო წყაროზე წავსულიყავი, სთქვა ბრიყვმა უფროსმა ქალმა.

— კარგი იყო და ეხლავე გიბრძანებ წყალზე წახვიდე, უთხრა დედამ.

იმანაც წამოავლო ყველაზე ლამაზ ვერცხლის სურას ხელი და ბურტყუნით გასწია წყაროსკენ. წყაროსთან ჯერ არ მისულიყო, რომ ტყიდან გამოვიდა მდიდრულად მოკაზმული ქალი, მივიდა და სთხოვა ფანშონს — წყალი დამალევიწიეო. ეს იგივე გრძნეული ქალი იყო, რომელიც იმის დას გამოეცადა, მაგრამ ეხლა ხელმწიფის ცოლის სახე მიეღო, რომ გამოეცადა — ის ქალი რამდენად ბრიყვი, უზრდელი იყო.

— განა იმიტომ მოვედი წყაროზე, რომ შენ წყალი გასვა? — შეუბღვირა გორბოზმა ფანშონმა. იმიტომაც არ წამოვილე ვერცხლის სურა, რომ შენთვის წყალი მომეწოდებინა! აი, თუ გნებავს დაეწაფე და დალიე!..

— ვერ ხარ თავაზიანი, — მშვიდად მიუგო გრძნეულმა ქალმა, — კარგი, რახან მაგრე უხიაკი, გაუგონარი ხარ, ისეთი რამით დაგაჯილდოვებ, რომ რამდენ სიტყვასაც წარმოსთქვამ, იმდენი გომბეშო ან გველი გადმოგივარდება პირიდან.

— ჰა, რა ჰქენი, გენაცვალე? — დაუყვირა შორიდან დედამ, ფანშონი რომ დაინახა.

აბა, რა იყო, — მიუგო ხოსტურიანმა და პირიდან ორი გველი ორი გომბეშო გადმოუვარდა.

— უი, გენაცვალეთ, გენაცვალეთ, ამას რას ვხედავ? — შეჰყვირა დედამ. ეს დის ბრალია, დისა. ვაჩვენებ ახლა სერს! და გაექანა უმცროსისკენ საცემად.

უმცროსი საწყალი გაიქცა და მახლობელ ტყეში დაიმალა. ამ დროს ნადირობიდან ხელმწიფის შვილი ბრუნდებოდა. დაინახა, რომ ის ისეთი ლამაზი იყო და ჰკითხა რა გინდა აქ მარტოკა და ან რა-ზედა სტირიო.

— დედამ გამომავლო შინიდან, — მიუგო სლოკინით ქალმა.

ხელმწიფის შვილმა რაკი დაინახა, რომ პირიდან ხუთი თუ ექვსი მარგალიტი გადმოვარდა და ამდენივე ალმასი სთხოვა ეამბნა რისგან იყო ესა.

დ ა რ დ ა ნ ე ლ შ ი



პირველი პოზიციების გამაგება.



თავ. სპირდონ ჭავჭავაძე
(კონ.) დაჯილდოებულია წმ. გიორგის ჯვრითა და იარაღით.

იმანაც უამბო თავისი თავ-გადასავალი. ხელმწიფის შვილს შეუყვარდა ის და რაკი იფიქრა, ე თვალ-მარგალიტის პირიდან ცვენა უფრო სარფაა, ვიდრე მზითევი, რომელიც სხვა ქალს მოჰყვებოდა, სასახლეში წამოიყვანა ის და ჯვარი გადაიწერა. უფროსი ქალი კი დედას ისე შესჯავრდა, რომ სახლიდან გააგდო. დიდხანს ეთრია უბედური, იხეტიალა, მაგრამ ვერავინ იპოვა, რომ ის თვის ჭერ-ჭვეშ შეეფარებინა და ის და დარჩა, რომ სადმე ღობის ძირას ამოხდენოდა სული.

სანგანიძე.

ა ვ ი თ ვ ა ლ ი

მოთხრობა მარკო პრაგისა.

(დასასრული *)

12 ნოემბერი 1892 წ.

თქვენ ან აუღელი ხართ, ან გიჟი და ან... მახინჯი. მაგრამ არა. მე ვფიქრობ, რომ თქვენ ავი თვალის პატრონი ხართ. და თუ თავი არ დამანებეთ, შექველია რაიმე უბედურება მომეღოს.

დამიჯერეთ, რომ შემეძლოს—ხვალე წავიდოდი აქედან. ნეტავი თქვენ მოიფიქრებდით მოგზაურობას.

ამ შემთხვევაში თქვენ არ დაგაბრკოლებთ უფულობა? წადით შორს სამოგზაუროთ!

ანჟელა.

30 ნოემბერი 1892 წ.

... რაც შეეხება იმ გიჟს, რომელზედაც გწერი და რომელსაც იმდენ იმედს ვამყარებდი—გაჰქრა. ამბობენ ის ძველებურად აქვე ცხოვრობს, მაგრამ მე არსად შევხვედრივარ. ყვავილებსაც აღარ მიგზავნის. ძალიან მწყინს! ის ისეთ შეყვარებულს ჰგვანდა! ამასთანავე მდიდარი იყო, ახალგაზრდა, ლამაზი, მარტოხელი და დამოუკიდებელი.

ეხლა მეტი ღონე არ არის, უნდა დავეჯერდე ძველ მეგობრებს. მაგრამ მილანში არ კოტრდებიან ქალებზე. ცუდი სეზონი შემხვდა. რა კარგი იყო ტურინი!

რასა იქ შენ, ძვირფასო ლულუ? ვისა ფცქენი ამ ჟამად? იცი, მე თან და თან ვრწმუნდები, რომ მიმიკა ბევრად სჯობია დრამას. მე რომ შენისთანა ფეხები მქონდეს—შენი მეტოქე ვიქნებოდი.

მომწერე ხშირად. გაკოცებს შენი.

ანჟელა.

3 დეკემბერი 1892 წ.

მაპატიეთ, ანჟელა, რომ კიდევ გწერთ, მაგრამ ეს უკანასკნელია.

ერთი საათის შემდეგ მე გავდივარ ღუელში. მიზეზი თქვენა ხართ. ერთ-ერთმა თქვენმა საყვარელთაგანმა ცუდად გახსენათ თქვენ და მე მას სილა შემოვკარი. გამოუცხადე, რომ მას ნება არა აქვს შეურაცხყოს ქალი მარტო იმისთვის, რომ ის მან იყიდა.

ღუელის პირობები სერიოზულია. ამიტომაც საჭიროდ ვსცანი

*) იხ. სურათებიანი დამატება № 77.



პოდპორუჩ. თ-ვ. დავით ილიას ძე ვაჩნაძე

დაქრილ. და ტყვედაა წაყვანილი.



კაპ. ალექსანდრე ბებურიშვილი (მოკლულია).

შეყედგინა ანდერძი. მე თქვენ დავნიშნეთ ჩემს ერთად-ერთ მემკვიდრეთ.

თუ მომკლეს (როდესაც ამ წერილს მიიღებთ, ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილი იქნება) მაშინ თქვენ მდიდარი გახდებით. ეს იქნება პირველი ფული, რომლის მიღებაც არ უნდა შეგრცხვეთ. თუ არ მოგვკვდი, თქვენ მაინც ჩემს მემკვიდრეთ დარჩებით და ძალიან მალე გამდიდრდებით. ნუ გეშინიანთ, მე თავს არ მოვიკლავ! ასეთ სიამაღისათვის მე ვაჟაკობა არ შემწევს. მაგრამ მე ავადა ვარ, ძალიან ავად. სხეულითაც და სულითაც. ჩემი სნეულება უკურნებელია. ის სწრაფად იჩენს თავის მოქმედების ძალას.

თუ ცოცხალი და უვნებლად გადავრჩი, როდესაც ამ წერილს მიიღებთ, მე მილანში აღარ ვიქნები და ვერასოდეს ველარ მნახეთ. უნდა წავიდე თქვენს დასამზვიდებლად. თქვენ მართალი სთქვით, მე ავი თვალთ მაქვს. ეს მე არა მწამდა და არც არასოდეს მიფიქრნია ამაზე, მაგრამ როდესაც თქვენ მისაყვედურეთ, დაფიქრდი და დავრწმუნდი, რომ თქვენ მართალი ხართ. ვეცდები, როგორმე დაგივიწყოთ, აღარ ვიფიქრო თქვენზე, რადგან თვით აზრმაც კი შეიძლება უბედურება მოუტანს, ვიხედავ ის ფიქრობს.

თუ არ მოგვკვდი და დამჭრეს მხოლოდ, რაც შეაჩერებს ჩემს წასვლას—გთხოვთ, გვედრებით არ მომწეროთ წერილი, არ მნახოთ, ამით თქვენ ვერაფერს ვერ მიაღწევთ, ვერ შემომსუბუქებთ მდგომარეობას. გეფიცებით დედი ჩემის ხსოვნას, რომ ჩვენს შორის არაფერი არ იქნება. მე თქვენ იმდენად მიყვარხართ, რომ არ მსურს ხელი შეგახო. თქვენ ვერ გაიგებთ, ვერ მიხვდებით ამ გრძნობას. შეყვარებული რომ ფორთხავდეთ ჩემს ფეხთა ქვეშ; ჩემდამი სიყვარულმა რომ სიგიჟემდე, მივიყვანოთ, სიღარიბემდის და სასოწარკვეთილებამდის; რომ ვიცოდე რომ ჩემი მოხვევნა დაგინსის სიკვდილისგან,—ჩემგან ვერ მიიღებთ ვერც ერთს ალერსს, ვერც ერთს კოცნას.

მიუხედავად ყოველისა, მე თქვენ მიყვარხართ, გაღმერთებთ! მე ამას გიმტკიცებთ სიცოცხლეში და ჩემს სიკვდილს შემდეგაც.

ჩემთვის თქვენ უმშვენიერესი ხართ, კეთილი და მასთან უბედურ ქალთა შორის, უღირსესი სიყვარულისა. მაგრამ მე არ მინდა, არ მინდა არასოდეს! გაიგეთ ეს! არ მინდა გასაკუთრობდეთ თქვენ! არასოდეს!

მაშ ასე. თუ დაქრული ვიწვე ლოვინში—არ მოხვდეთ ჩემთან, ნურც მაცნობებთ თქვენზე ნურაფერს.

ეს არის ჩემი ერთად-ერთი და უკანასკნელი თხოვნა თქვენთან, მარია.

P. S. აი ერთი საკითხიც: ვაი თუ ჩემმა ფულებმა უბედურება მოგიტანოთ? თუ ამ ს შეგეზინდეთ—უარი სთქვით შემკვიდრობაზე. იმ შემთხვევაში მომინდვია თქვენთვის უფლება, როგორც გენებოთ—განაწილეთ მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ფული ერთად-ერთი საგანია; რომელსაც უბედურება არ მოაქვს. ნუ გეშინიანთ! იხელმძღვანელებთ მითი.

სინიორა ანჟელა დაუროს.

მოწყალეო ხელმწიფავ.

სინიორა ანჟელა დაურო!

თქვენ უმეცველია შეტყობილი გექნებათ, რომ სინიორ მარია ლორა, რომელიც იქნა დუელის დროს ამა წლის 3 დეკემბერს. მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ თანახმად ჩემთან შენახულის, სინიორის საკუთარის ხელით დაწერილის ანდერძისა, თქვენ ბძანდებით ერთად-ერთი შემკვიდრე მთელი მისი ქონებისა რომელიც შეადგენს ერთ მილიონს შვიდას ათასს ლირს. ანდერძში მოხსენებულია შესაძლებელი უარი თქვენის მხრივ. იმ შემთხვევაში თქვენ გეძლევათ უფლება გადასცეთ რომელიმე კერძო პირს, ანუ დაწესებულებას სრულიად, გარდა ორასი ათასი ლირისა, რომელიც მხოლოდ თქვენგან უარის შემდეგ უნდა გადაეცეს კაცთ-მოყვარე საზოგადოებას, ღარიბ სულით ავადმყოფთათვის პროვინციაში.

განსვენებულმა მე ამირჩია თავის ვეჟილად. თანახმად ზემოდ-მოყვან-ლსა, გთხოვთ მობძანდეთ ჩემთან ხვალ სამიდან ოთხ საათამდის, მოსალაპარაკებლად.

ამასთანავე ვალად ვრაცხ ჩემს თავს გაუწყოთ, რომ გასვენება მიცვალბულისა სამოქალაქო წესით მოხდება ზეგ, დილის ათ საათზე და თუ მოისურვებთ რაიმე განკარგულების მოხდენას.—მე მზად გახლავართ თქვენდა სამსახურად.

მიახლებია თქვენთვის წერილი აწ განსვენებულისა, რომელიც შენახული ჰქონდა მოსამსახურეს, რომ გადმოეცა თქვენთვის სიკვდილის შემდეგ.

თქვენი განკარგულების მომლოდინე მუდამ პატივის ცემით.

ნატარიუსი, დოქტორი ანტონიო პიგანცოლი.

ლამე, 3 დეკემბერი 1892 წ.

ეხლა, როდესაც მე ცოცხალი აღარა ვარ, უნდა მოგელაპარაკო, ჩემო სათაყვანო ანჟელა!

იცი, რატომ არ მინდოდი? იმიტომ რომ როდესაც შენისთანა ქალთან იქერ საქმეს, შეიძლება იყო იმის პირველი საყვარელი, ან სულ არაფერი.

მე შეგკრიბე შენზე ცნობები. ვიცი მთელი შენი ცხოვრება იმდენად, რამდენათაც ეს ჩემთვის საჭირო იყო.

მამაშენი იყო მასწავლებლად გიმნაზიაში. შენ გაიზარდე პატრიოსან და მოიყვარულე ოჯახში. მიიღე ჩვეულებრივი საშუალო განათლება. შენ 17 წლისა იყავი, როდესაც მამაშენი გარდაიცვალა, დარჩით ღარიბად შენ და დედაშენი.

ვლამაც აღმოაჩინა შენში სასცენო ნიჭი და შენც შეხვედი სცენაზე. მკირიოდენი საშუალება, რომელიც შეადგენდა თქვენი საცხოვრებლის სასარს მალე ჩაყალბა სცენისათვის მომზადებამ.

19 წლისას და შენისთანა ლამაზს არ გაგკირვებია ადგილის შოვნა. იცის წლისა იყავი, როდესაც დედა დაჰკარგე და დარჩი მარტოდ-მარტო.

შენ შეიცდი. დაგისაკუთრა კაცმა, რომელმაც ცოლად არ შეგიერთო, რომელსაც არა მგონია, რომ ჰყვარებოდი. ამის შემდეგ შენ თანდათან დაეშვი...

ვინ იყო ის, რომელიც შენ, ქალწულს შეგვბო? მე არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე, იმიტომ რომ თუ ეხლა ცოცხალია—მე შემიძლიან მოგკლა ის—იმდენად ღრმაა ჩემში მისდამი სიძულვილი.

მე მას არ გამოვიწვევდი, საჯაროთ არ შეგებდობოდი, არა! მე იმას მოვკლავდი ჩუმათ, ქურდულად, ზურგში ჩავცემდი დახანს!

ეხლა, როდესაც უკანასკნელად ვზივარ (მე ამას ვგრძნობ) ჩემს ნახევრად ბნელ და მყუდრო ოთახში, ვფიქრობ იმაზე, იმ უცნობზე, ვწყევლი მას. ვენერწყევ მის საზიზღარ სახეს.

რად ისარგებლა შენით? რა ნება ჰქონდა?

რა ღირსებით იყო შემიკული? რით დაიმსახურა შენი პირველი კოცნა? შეიძლება ის იშვიათი სილამაზის პატრონი იყო? ან არა-ჩვეულებრივი კეთილი, ჰკვიანი? შეიძლება ის იყო რაინდი, რომელსაც სიმამაცისათვის და კეთილი საქმისათვის ბედმა არგუნა ასეთი უმაღლესი საჩუქარი—პირველად შენი დასაკუთრება?

არა? უთუოდ არაფერი ასეთი არ ყოფილა. მაშ რად? რად დამორჩილდი მას?

უყვარდი მას ასე ძლიერად, როგორც მე? რასაკვირვალა არა! ასე რომ ჰყვარებოდი ეხლაც ხომ იმის ცოლი იქნებოდი.

მაშ რად? რად ჰყავდი იმას?

აი, რაზე ვფიქრობ მე! იმან შენ გაკოცა ტუჩებში, კისერზე, თვალბეზირში და გააღვიდა შენში ქალი. იმის ხელები გეხვეოდნენ შენ. იმან გაგახსნა კაბის ღილები და პირველმა იმან დაგინახა, პირველმა აკოცა შენ ქალწულს გულს... და შენ, მშვენიერი, ლამაზი ქმნილება, დანებდი მას, გახდი იმის საყვარელი... იმან გასწავლა ცხოვრება, იმან, რომელმაც შეგიბოძა შენი ფაქიზი სხეული...

მე ვფიქრობ შენ ტანზე, წარმოდგენილი მაქვს იგი ისეთი მშვენიერი, როგორიც არის ეხლა, რადგან შენი სილამაზე ეხლა უკვე გაფურჩქვნილია,—იმაზე, თუ ნორჩზე, სუსტ ქალწულის ტანზე, მე ვხედავ მას, წარმოდგენილი მაქვს და თავბრუ მესხმის.

ის უყურებდა შენს ტანს, ჰკოცნიდა მას და არ მოკვდა სიხარულისაგან, არ მოკვდა ბედნიერებისაგან, არ დაახრჩო? თავი არ მოიკლა? ვერ გაიგო, რომ იმ ერთ საათში მან იგება ათასი ადამიანის ბედნიერება? ნუ თუ მას კიდევ დარჩა სანატრელი რამ ამ ქვეყნად? ვერ მიხვდა, რომ თავის სიცოცხლე უნდა შეეწირა ასეთ ზეკაცის ბედნიერებისათვის? ასე უხვად ბედისგან ანუ შემთხვევისგან დასაჩუქრებისათვის? ვერ გაიგო?

ღმერთო, როგორ მძაგს, როგორ ვწყევლი მას, იმიტომ რომ მან წამართვა ჩემი უფლება!

არა, არა! რაინდი, ლამაზი, ჰკვიანი და უკეთესი ადამიანთა შორის ჯერ არ გამხდარა ღირსი შენებრ მშვენიერი ქალისა! შენი ღირსი მხოლოდ ის უნდა იყოს, ვისაც ჩემებრ ეყვარები! მაგრამ ასე არავის ამ ქვეყნად არ შეუძლიან შეყვარება. მე—ერთად-ერთი ვარ! მე ამას ვგრძნობ, ჰხედავ, დარწმუნებული ვარ და აი, რატომ ვდგევარ მე ყველაზე მაღლა. პირველად მე უნდა მენახე. მე უნდა მქონოდა უფლება პირველად შენი კოცნისა, შენში ქალის გაღვიძებისა. მე პირველს უნდა გამეხსნა შენი კაბის ღილები—ათრთოლებულის ხელებით შეგხებოდი შენს მშვენიერს სხეულს, თოვლივით სპეტაკს, მიუწვდომელს სიმაღლეზე. მე პირველს უნდა მიმეყვანე უგრძობელი უმანკო სუნელოვანს ვარდების სარეცელზე და მეთქვა შენთვის: ანჟელა, ანჟელა! შენ ჩემი ხარ! მოდი ჩემთან! მე გასწავლი ცხოვრებას, მოგანიჭებ ბედნიერებას, გაგხდი ქალად, ჩემს ცოლად, ჩემს ქმნილებად!

ეს არ მოხდა და მე არ მინდინარ ეხლა ისეთი, როგორიცა ხარ! არ შემიძლიან! არ უნდა მიყვარდე!

შენისთანა ლამაზის (იცი, რომ ღვათებრივად მშვენიერი ხარ?)

შეიძლება იყო მხოლოდ პირველი. პირველი სიყვარული!

შეიძლება მე ვყოფილიყავი პირველი. შეიძლება შენ ჯერ არ გყვარებია? მაგრამ მე რა? განა ეს ბედნიერებას მომანიჭებს განა დამაკმაყოფილებს?

მოვიტაცო ქალი, რომელსაც არ უყვარხარ? ეს ყველას შეუძლიან. არა, მე კი არ მინდოდა მხოლოდ პირველი შენი საყვარული—მინდოდა მე ვყოფილიყავი პირველი მამაკაცი, რომელსაც შენ ეკუთვნოდი.

აი, რისთვის აღარ მინდინარ ეხლა!

გაიგე თუ არა? გაიგე თუ არა, რომ შეიძლება იმდენად გიყვარდეს, რომ უარი სთქვა მის დასაკუთრებაზე? ჩემთვის ძვირფასია ქალწული, ის ქალწული, რომელიც შენ ოდესღაც იყავი! მე მიყვარს ის, მსურს და არ შემიძლიან უამისოდ სიცოცხლე?

მე მივდივარ სასიკვდილოთ.

გახსოვდეს, ანჟელა, შენ ჩემი მაღლიერი არ უნდა იყო, არც მოვალე ხარ სცი პატივი ჩემს ხსოვნას შენ ხომ არა ხარ დამნაშავე—რაც მოხდა? შენ მზად იყავი მოგეცა ჩემთვის, რაც შეგეძლო. მე თვითონ არ მოვისურვე. შენ არა ხარ დამნაშავე, რომ მე ვერ შეგხვდი, როდესაც ახალგაზრდა იყავი. მე მიყვარდი, მაგრამ ბედმა არ მარგუნა შენი ქალწულობა.

შენ მთელის ტანით დგებარ ჩემ წინ. ოცი წლის. სპეტაკი, ხელუხლებელი. რაღაც უძლეველი ძალა ხელმძღვანელობს შენის მოქმედებით. შენ იშლი თმებს და ისინი ერთიანად ჰვარავენ შენ მშვენიერ მხრებს. იხდი ტანთ-საცმელს... და ჩემს წინ თანდათან იშლება შენი ატლასის ტანი... შენ ჩემთვის გაიხარე ტანთ... მე დამენახე... მე ვარ პირველი კაცი, რომელიც ხედავს შენ ტანს... შენ ქალწულს ტანს...

თენდება...

მშვიდობით, ანჟელა! თუ ერთხელ მაინც გამიღიმა ბედმა—რამოდენიმე საათის შემდეგ მე მკვდარი ვიქნები, ბედნიერი, თავისუფალი!

მშვიდობით, ანჟელა! მე შენ გლოცავ!

მშვიდობით ანჟელა! ანჟელა! ანჟელა...

ევ. მესხი.

